პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 5 ივნისი, 1943 წ. № 121 (6746). ფასი 20 კაპ.



დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1943 წლის 4 ივნისს

მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხის გამოშვების პირობები

1. მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხი შესდგება ორი გამოშვებისაგან: მომგებიანისა და პროცენტიანისაგან.

სესხის მომგებიანი გამოშვება განკუთვნილია მოსახლეობას შორის გასავრცელებლად. სესხის პროცენტიანი გამოშვება გავრცელდება სასოფლო-სამეურნეო, შინა-სარეწაო და თევზეურის არტელებს შორის, შერეულ სარეწაო სასოფლო-სამეურნეო არტელებს, ინვალიდთა კოოპერაციის, სატყეო კოოპერაციის არტელებსა და მიწის ზიარად დამმუშავებელ ამხანაგობებს შორის.

მომგებიანი გამოშვების ობლიგაციების მთელი შემოსავალი გაიცემა მოგებათა სახით, ხოლო პროცენტიანი გამოშვების ობლიგაციებისა—პროცენტების სახით, კუპონების მიხედვით.

I. მომგებიანი გამოშვება

2. მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხის მომგებიანი გამოშვების 20 წლის ვადა წესდება 1943 წლის 1 აგვისტოდან 1963 წლის 1 აგვისტომდე.

3. სესხის მომგებიანი გამოშვება იყოფა თანრიგებად ას-ასი მილიონი მანეთი ყოველ თანრიგში.

თითოეული თანრიგი შესდგება 20.000 სერიისაგან. თითოეული თანრიგის სერიებს აქვთ ნომრები № 20001-დან № 40000-მდე.

თითოეულ სერიაში ობლიგაციებს აქვთ ნომრები № 1-დან № 50-მდე.

4. სესხის მომგებიანი გამოშვების ობლიგაციები გამოდის 500, 200, 100, 50 და 25 მანეთის ღირებულებისა.

5. 500 და 200 მანეთის ღირებულების ობლიგაციები შესდგება შესაბამისად ერთი სერიის ხუთი ან ორი ასმანეთიანი ობლიგაციისაგან ხუთი ან ორი ნომრით და იძლევა ხუთი ან ორი მოგების უფლებას, რომლებიც ერთსაც და იმავე დროს ხვდება ობლიგაციაზე აღნიშნულ თითოეულ ნომერს.

50 და 25 მანეთის ღირებულების ობლიგაციები წარმოადგენენ 100-მანეთიანი ობლიგაციების ნაწილებს და უფლებას იძლევიან 100-მანეთიანი ობლიგაციის კუთვნილი მოგების შესაბამის წილზე (1/2, 1/4).

შენიშვნა:

25 მანეთის ღირებულების ობლიგაციები განკუთვნილია ხელმომწერლებთან ანგარიშის გასასწორებლად მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ხელმოწერის თანხის მიხედვით არ შეიძლება გაიცეს უფრო დიდი ღირებულების ობლიგაციები.

6. სესხის მომგებიანი გამოშვების მოგებანი წესდება 50.000, 25.000, 10.000, 5.000, 1.000, 500 და 200 მანეთის რაოდენობით 100-მანეთიან ობლიგაციაზე, ობლიგაციის ნომინალური ღირებულების (ასი მანეთი) ჩათვლით.

სესხის 20 წლის ვადის განმავლობაში მოიგებს ყველა ობლიგაციის ერთი მესამედი, ხოლო ობლიგაციების დანარჩენი ორი მესამედი იფარება მათი ნომინალური ღირებულების მიხედვით.

ობლიგაცია, რომელსაც მოგება ხვდა, იფარება და შემდგომი ტირაჟებიდან გამოირიცხება.

7. 20 წლის ვადის განმავლობაში მომგებიან გამოშვებაზე შესდგება მოგებათა 40 ტირაჟი—ორ-ორი ტირაჟი ყოველწლიურად.

მოგებათა ტირაჟები შესდგება, 1944 წლით დაწყებული, იმ ვადებში, რომლებსაც დააწესებს სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

მოგებათა საერთო თანხა სესხის 20 წლის ვადის განმავლობაში დაწესებულია, საუფლოდ, წელიწადში 4 პროცენტის ანგარიშით.

8. მოგებათა თითოეულ ტირაჟში მომგებიანი გამოშვების ყოველ თანრიგზე, ე. ი. სესხის ამ გამოშვების თითოეულ 100 მილიონ მანეთზე, გათამაშდება მოგებათა შემდეგი რაოდენობა:

მოგებათა რაოდენობა მანეთობით, ობლიგაციის ნომინალური ღირებულების ჩათვლით	მოგებათა რაოდენობა: 1-10 ტირაჟებში გათამაშდება ყოველ ერთ ტირაჟში	11-20 ტირაჟებში გათამაშდება ყოველ ერთ ტირაჟში	21-30 ტირაჟებში გათამაშდება ყოველ ერთ ტირაჟში	31-40 ტირაჟებში გათამაშდება ყოველ ერთ ტირაჟში	სულ ყველა 40 ტირაჟში სესხის ყოველ 100 მილიონ მანეთზე გათამაშდება
50.000 მან.	1	1	1	1	40
25.000 მან.	2	2	2	2	80
10.000 მან.	5	5	5	5	200
5.000 მან.	10	10	10	10	400
1.000 მან.	100	100	100	100	4.000
500 მან.	1.000	1.000	1.000	1.000	40.000
200 მან.	7.507	7.257	7.007	6.757	285.280
მოგებათა საერთო რაოდენობა თითოეულ ტირაჟში	8.625	8.375	8.125	7.875	330.000
მოგებათა საერთო თანხა თითოეულ ტირაჟში (მანეთობით)	2.301.400	2.251.400	2.201.400	2.151.400	89.056.000

9. მომგებიანი გამოშვების ობლიგაციები, რომლებსაც მოგება არა ხვდა, იფარება (გამოისყიდება) მათი ნომინალური ღირებულების მიხედვით 1948 წლის 1 აგვისტოდან სესხის ვადის დამთავრებამდე დარჩენილი 15 წლის განმავლობაში.

სესხის მომგებიანი გამოშვების ყოველ 100 მილიონ მანეთზე გამოისყიდება: 1948-1953 წლებში—2.500.000 მანეთი, 1954-1958 წლებში—4.200.000 მანეთი და 1959-1963 წლებში—6.200.000 მანეთი ყოველწლიურად.

მომგებიანი გამოშვების ობლიგაციები, რომლებიც გამოსყიდულ უნდა იქნას 1948-1962 წლებში, განისაზღვრება დაფარვის ყოველწლიური ტირაჟებით; დაფარვის ტირაჟების ჩატარების ვადებს აწესებს სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

ის ობლიგაციები, რომლებიც დაფარვის ტირაჟებში არ გასულან, გამოისყიდება 1963 წლის 1 აგვისტოდან.

10. მომგებიანი გამოშვების ობლიგაციები, რომლებსაც მოგება ხვდათ, აგრეთვე ობლიგაციები, რომლებიც გამოსყიდულ უნდა იქნან მათი ნომინალური ღირებულების მიხედვით, შეიძლება წარდგენილ იქნან გასაღდებლად 1964 წლის 1 აგვისტომდე; ამ ვადის გასვლის შემდეგ გასაღდებლად წარუდგენელი ობლიგაციები ჰკარგავენ ძალას და არ იქნებიან განაღდებული.

II. პროცენტიანი გამოშვება

11. მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხის პროცენტიანი გამოშვების 20 წლის ვადა წესდება 1944 წლის 1 იანვრიდან 1964 წლის 1 იანვრამდე.

12. სესხის პროცენტიანი გამოშვება იყოფა თანრიგებად—ას-ასი მილიონი მანეთი თითოეულ თანრიგში.

თითოეული თანრიგი შესდგება 20.000 სერიისაგან. თითოეული თანრიგის სერიებს აქვთ ნომრები № 20001-დან № 40000-მდე.

თითოეულ სერიაში ობლიგაციებს აქვთ ნომრები № 1-დან № 50-მდე.

13. სესხის პროცენტიანი გამოშვების ობლიგაციები არის 1.000, 500 და 100 მანეთის ღირებულებისა.

1.000 და 500 მანეთის ღირებულების ობლიგაციები შესდგება შესაბამისად ერთი სერიის ათი ან ხუთი 100-მანეთიანი ობლიგაციისაგან ათი ან ხუთი ნომრით და უფლებას იძლევა მიიღონ პროცენტული შემოსავალი ობლიგაციის მთელი ნომინალური ღირებულებიდან.

14. პროცენტიანი გამოშვების ობლიგაციების შემოსავალი გაიცემა კუპონებით წელიწადში ერთხელ 2 პროცენტის რაოდენობით. კუპონების განაღდების ვადა დგება ყოველი წლის 1 იანვარს, 1945 წლის 1 იანვრიდან დაწყებული.

15. პროცენტიანი გამოშვების ობლიგაციები გამოისყიდება 1959 წლის 1 იანვრიდან ხუთი წლის განმავლობაში თანაბარ ნაწილებად ყოველწლიურად.

1959-1963 წლებში გამოსასყიდი ობლიგაციები განისაზღვრება დაფარვის ყოველწლიური ტირაჟებით, რომლებიც ჩატარდება ყოველი წლის არაუგვიანეს 1 იანვრისა.

ის ობლიგაციები, რომლებიც დაფარვის ტირაჟებში არ გასულან, გამოისყიდება 1964 წლის 1 იანვრიდან.

გამოსყიდვის დროს ობლიგაციების მფლობელთ მიეცემათ ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

დაფარვის ტირაჟებში გასულ ობლიგაციებზე განაღდდება კუპონები, იმ წლის 1 იანვრის ვადიანი კუპონის ჩათვლით, რომელშიც ტირაჟი მოხდა. შემდგომი ვადების კუპონები არ განაღდდება.

16. პროცენტიანი გამოშვების ობლიგაციები, რომლებიც გამოსყიდულ უნდა იქნან, აგრეთვე ის კუპონები, რომელთა განაღდების ვადა დადგა, შეიძლება წარდგენილ იქნან გასაღდებლად 1965 წლის 1 იანვრამდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ ის ობლიგაციები და კუპონები, რომლებიც გასაღდებლად არ ყოფილა წარდგენილი, ძალას ჰკარგავენ და არ იქნებიან განაღდებული.

სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარი ა. ზვერევი.

მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხი

სამამულო ომის გადამწყვეტ მომენტში საბჭოთა მთავრობამ გამოუშვა მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხი. ამ ცნობას, რომელიც ჩვენი ქვეყნის მილიონობით მშრომელებმა ჯერ კიდევ გუშინ რადიოთი მოისმინეს, პატრიოტული აღმავლობით შეხვდნენ მუშები, გლეხები, ინტელიგენცია. მათ იციან, რომ ახალი სესხი აძლიერებს წითელი არმიის შეიარაღებას, მის შეტევითს აღფრთოვანებას, იგი მიმართულია ვერაგი მტრის სრული განადგურების დაჩქარებისაკენ, და ამიტომ ისინი ერთსულოვნად აწერენ ხელს ახალ სესხზე.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხი გამოშვებულია 12 მილიარდი მანეთის რაოდენობით 20 წლის ვადით. ეს არის სამამულო ომის მეორე სესხი. პირველი სესხი გამოშვებულ იქნა 1942 წელს 10 მილიარდი მანეთის რაოდენობით, მაგრამ ისე დიდი, უმაგალითო, ისე ფართო წარმატება ჰქონდა მას, რომ 10 დღის განმავლობაში 12.860.831.000 მანეთის რაოდენობით გავრცელდა. ეჭვი არ არის, რომ ახალ სესხს კიდევ უფრო მეტი წარმატება ექნება!

დიდია საბჭოთა სესხების ავტორიტეტი მოსახლეობაში, რომელიც მისგან თვალსაჩინო სარგებლიანობას პოულობს. საკმარისია ითქვას: თუ 1927 წელს გამოშვებული ინდუსტრიალიზაციის პირველი სესხი 200 მილიონი მანეთის რაოდენობით გავრცელდა, უკვე ორი წლის შემდეგ გამოშვებულმა მესამე სესხმა 829 მილიონ მანეთს მიაღწია, შემდეგ კი ეს ციფრი უმაგალითოდ გაიზარდა და 12.860.831.000 მანეთი შეადგინა.

პირველი საბჭოთა სამხედრო სესხი დიდი წარმატებით გავრცელდა საქართველოში. ხელმოწერილმა თანხამ 278.280.000 მანეთს მიაღწია. საქართველოს მშრომელებმა თვალსაჩინო მოგება მიიღეს საბჭოთა სესხებიდან და ლატარიის ბილეთებიდან. მარტო 1942 წელს მათ მოგების სახით მიიღეს 19.499.000 მანეთი.

მთელი ჩვენი ხალხი ყოველთვის უდიდესი პატრიოტული აღმავლობით ხვდება ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებს. ჩვენი საბჭოთა სესხების არნახული წარმატება ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს. საბჭოთა ხალხი, რომელიც მზად არის დაჩქარებით მოსპოს ვერაგულად თავდამსხმელი მტერი, ზურგში გმირული შრომით მზარდ დახმარებას უწევს თავის პირმშო წითელ არმიას. ამ დახმარებამ საუკეთესო პატრიოტული გამოხატულება ჰპოვა იმ ინიციატივაში, რომელიც ტამბოველმა კოლმეურნეებმა გამოიჩინეს წითელი არმიისათვის ტანკების ასაგებად. ტანკებისა და თვითმფრინავების მშენებლობისათვის თანხების შეგროვებაში მთელი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობამ მიიღო მონაწილეობა. ამხანაგ **სტალინის** მისასალმებელმა დეპეშებმა საბჭოთა ხალხი აღაფრთოვანა პატრიოტული ვალის უდიდესი შეგნებით. 4 თვეზე ნაკლები ხნის განმავლობაში საბჭოთა ხალხმა წითელი არმიის ფონდში 7 მილიარდ მანეთზე მეტი შეიტანა.

მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხის წარმატებითი რეალიზაცია ახალი, მძლავრი დახმარება იქნება წითელი არმიისადმი. სესხის მთელი თანხა მოხმარდება ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომს განმტკიცებას, იგი იქნება წითელი არმიისათვის მეტი ტანკების, თვითმფრინავების, ქვემეხების, ნაღმსატყორცნების, ტყვიამფრქვევების, შაშხანების მიცემა და გერმანელი ოკუპანტებისადმი სასიკვდილო ლახვარი. ამიტომ მგზნებარე მოწოდებად გაისმის ლოზუნგი:

— ყველამ, როგორც ერთმა, ხელი მოვაწეროთ მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხზე!

— მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხზე ხელისმოწერით დავაჩქაროთ ჰიტლერელი ავაზაკების სრული განადგურება!

სამხედრო სესხზე ხელისმოწერა ტარდება ნებაყოფლობის პრინციპის მტკიცედ დაცვით. იგი უნდა ჩავატაროთ ზუსტად, ორგანიზებულად, მაღალ პოლიტიკურ დონეზე. პარტიული, კომკავშირული და პროფესიული ორგანიზაციების, სახელმწიფო სესხისა და საშემახვეული საქმის ხელისშემწყობი კომისიების, სოფლსაბჭოების, რწმუნებულების, მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა როგორც ქალაქად, ისე სოფლად სესხზე ხელისმოწერაში მიიზიდონ უკლებლივ ყველა მშრომელი! ამ მიზნით ფართოდ უნდა გაიშალოს მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში, გამოყენებულ იქნას ბოლშევიკური აგიტაცია-პროპაგანდის ყველა საუკეთესო ფორმა, რათა მშრომელთა უფართოეს მასებს ღრმად განეუმარტოთ ფრონტის საჭიროებათა განუწყვეტელი დაფინანსების საქმეში ახალი სესხის უდიდესი მნიშვნელობა. „ყველაფერი ფრონტისათვის! ყველაფერი მტრის გასანადგურებლად! ყველაფერი გამარჯვებისათვის!“ — ამ საბრძოლო ლოზუნგებით უნდა ჩავატაროთ ახლა აგიტაცია-პროპაგანდა!

ისე, როგორც შარშან, წელს კიდევ უფრო ფართო იქნება მშრომელთა ინიციატივა ერთი თვის ხელფასისა და მეტი რაოდენობით მისცეს სესხი სახელმწიფოს. ეჭვი არ არის, ბევრი კოლმეურნე ღრმა პატრიოტული შეგნებით ადიდი რაოდენობით მოაწერს ხელს ახალ სესხზე. სოფლის საბჭოებმა, რომლებიც ხელშემწყობი კომისიების, კოლმეურნეობათა გამგეობებისა და სოფლის საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობით ატარებენ სოფლად სესხის გასავრცელებლად საორგანიზაციო-მასობრივ მუშაობას, აგრეთვე სოფლის საბჭოების რწმუნებულებმა სანიმუშოდ უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობა!

ყველამ, როგორც ერთმა, ხელი მოვაწეროთ მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხზე! არცერთი მშრომელი ახალ სესხზე ხელისმოწერის გარეშე! თითოეული ჩვენი მანეთი, რომელსაც სესხად ვაძლევთ სახელმწიფოს, ადიდებს ლითონის, სათბობის, კვების პროდუქტებისა და ყოველივე იმის წარმოებას, **რაც** საჭიროა ფრონტისა და ჩვენი ქვეყნისათვის! ახალ სესხზე ერთსულოვანი ხელისმოწერით კიდევ უფრო განვამტკიცოთ ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის ძლიერება!

ამით ჩვენ მოვიპოვებთ ახალ გამარჯვებებს და დავეხმარებით გმირ წითელ არმიას საბჭოთა კავშირის მარშლის დიდი **სტალინის** ბრძნული მხედართმთავრობით დაჩქაროს ჰიტლერელი ავაზაკების სრული განადგურება!

საქართველოში სესხზე ხელის მოწერა წარმატებით მიმდინარეობს

საქ. სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის სახშემნახველი სალაროების და სახკredიტის სამმართველოს ცნობით, **ქალაქ თბილისში** 4 ივნისის ღამის 12 საათისათვის მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხზე ხელმოწერის თანხა შეადგენდა 31.321.000 მანეთს.

4 ივნისს ღამის 12 საათისათვის თბილისში სესხზე ხელმოწერის საერთო რაოდენობიდან ორჯონიკიძის რაიონში გავრცელებული 6.798.000 მანეთის სესხი, 26 კომისრის რაიონში—8.122.000 მანეთის და ლენინის რაიონში—5.922.000 მანეთისა.

აჭარის ასს რესპუბლიკაში 4 ივნისის ღამის 12 საათისათვის მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხზე ხელმოწერის საერთო თანხა აღწევდა 15.675.000 მანეთს, აქედან ნაღდად შეტანილია 3.437.000 მანეთი; **აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში** ხელი მოწერილია 19.567.000 მანეთზე, აქედან ნაღდად შეტანილია 4.813.000 მანეთი; **სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში** ხელმოწერის თანხა შეადგენს 5.840.000 მანეთს, აქედან ნაღდად შეტანილია 1.767.000 მანეთი; აღნიშნული დროისათვის **ქალაქ ჭუთაისის** მუშა-მოსამსახურეებმა ძირითადად დაამთავრეს ახალ სესხზე ხელის მოწერა. ხელმოწერის თანხა შეადგენს 7.100.000 მანეთს.

განსაკუთრებით წარმატებით მიმდინარეობს სესხზე ხელმოწერა **ჭუთაისის რაიონში**, სადაც კოლმეურნეებში ხელმოწერის თანხა შეადგენს 2.257.000 მანეთს, აქედან ნაღდად შეტანილია 1.557.000 მანეთი, **აბაშის რაიონში** ხელმოწერა შეადგენს 1.783.000 მანეთს (აქედან ნაღდად შეტანილია 1.714.000 მანეთი), **წიფელწყაროს რაიონში**—4.844.000 მანეთს (ნაღდად შეტანილია 2.410.000 მანეთი), **წყალტუბოს რაიონში**—1.862.000 მანეთს (ნაღდად შეტანილია 1.572.000 მანეთი), **წალკის რაიონში**—1.630.000 მანეთს (ნაღდად შეტანილია 1.348.000 მანეთი).

წიფელწყაროს რაიონის მირზაანის სასოფლო საბჭოს ედანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვანო ფიროსმანიშვილმა მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხზე ხელი მოაწერა 150.000 მანეთის რაოდენობაზე და ეს თანხა მაშინვე დაჰფარა. ქვემო-ქედის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვანო ქავთარაძემ ხელი მოაწერა 130.000 მანეთზე, რაც ნაღდად შეიტანა, შირაქის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა სიმონ გოგბაიძემ ხელი მოაწერა 120.000 მანეთზე და ეს თანხა იქვე დაჰფარა.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინგორის რაიონის სოფ. ქვემო ბაგების კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნიკოლოზ გოჩმაზოვმა ხელი მოაწერა 100.000 მანეთზე, რაც ნაღდად შეიტანა.

ზუგდიდის რაიონის სოფ. ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ანტონ როგავამ ხელი მოაწერა 100.000 მანეთის სესხზე, რაც მაშინვე დაჰფარა.

გაგრის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა გალუსტ საგინაძემ ხელი მოაწერა 100.000 მანეთის სესხზე, და ეს თანხა ნაღდად შეიტანა.

ბოლნისის რაიონის სოფ. დარბაზის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სესხზე ხელი მოაწერა 50.000 მანეთის რაოდენობით, რაც იქვე დაჰფარა. ასეთი მაგალითები ბევრია.

საქართველოში სესხზე ხელისმოწერა წარმატებით მიმდინარეობს.

უდიდესი აღმავლობით დაიწყო ახალ სესხზე ხელის მოწერა

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის საამქროებში პირველი ცვლის მუშაობის დამთავრებისთანავე ჩატარდა სახელდახელო მიტინგები, მიძღვნილი ახალი სესხის გამოშვებისადმი.

ამწყობ საამქროს მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიტინგზე საამქროს მედალოსანმა ოსტატმა ამხ. ს. ამიროვმა დამსწრეთა საერთო აღფრთოვანება და სიხარული გამოხატა თავის სიტყვაში, რომლითაც იგი მიესალმა ახალი სესხის გამოშვებას. მგზნებარე პატრიოტული სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე საამქროს მოწინავე ადამიანები ამხ. ი. მსხალაია, გ. ჩერკასოვი და ნ. მაისურაძე. მათ განაცხადეს, რომ სესხზე თვენახევრის ხელფასის თანხაზე ხელმოწერასთან ერთად კისრულობენ კიდევ უფრო გაუმჯობესონ მუშაობა, გაზარდონ შრომის ნაყოფიერება და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი გმირ წითელ არმიას ფაშისტთა ურდოების განადგურებაში.

მიტინგის დამთავრებისთანავე დაიწყო სესხზე ხელმოწერა. 1 საათში ახალ სესხზე ხელმოწერის თანხავ ქარხანაში 500.000 მანეთს გადააჭარბა.

იმ ქარხნის მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, რომლის დირექტორიც არის ამხ. სალაძე, აღფრთოვანებით შეხვდნენ მთავრობის დადგენილებას მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხის გამოშვების შესახებ. საამქროებში ჩატარდა სახელდახელო მიტინგები. დამსწრეებმა ერთსულოვნად მოიწონეს სესხის გამოშვება.

ახალგაზრდა მუშამ ამხ. დოვლათიანმა განაცხადა: რაც მეტ დახმარებას გავუწევთ ჩვენს სახელმწიფოს ახალი სესხის შეძენით, მით უფრო მეტ იარაღსა და საჭურველს მიიღებს წითელი არმია, მით უფრო მოვახლოვებთ ჩვენს გამარჯვებას. ამხ. დოვლათიანმა ხელი მოაწერა 3 თვის ხელფასის რაოდენობით. ახალ სესხზე ხელს ვაწერ თვენახევრის ხელფასის რაოდენობით, — სთქვა ოსტატმა ამხ. ჩიქოვანმა. ათასოვანმა ლობინცოვმა და სტახანოველმა ბანდურენკომ ხელი მოაწერეს ორ-ორი თვის ხელფასის რაოდენობით. ასეთი მაგალითები მრავალია. საღამოს 11 საათისათვის ქარხანაში ხელმოწერის თანხამ 5.500.000 მანეთს გადააჭარბა. სესხზე ხელმოწერა მიმდინარეობს.

ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეების მიტინგის შემდეგ დამსწრენი შეიდგენენ სესხზე ხელის მოწერას და საღამოს 8 საათისათვის ხელმოწერა ძირითადად დამთავრებული იყო. ამ დროისათვის ხელმოწერის თანხა შეადგენდა 1.214.985 მანეთს.

სესხზე ხელმოწერა განსაკუთრებული წარმატებით ჩატარდა გზის სარევიზორო ბანაკში, სალიანდაგო და საორთქლმავლო სამსახურში, რომელთა მუშაკებმა ძირითადად ორი თვის ხელფასი მისცეს სესხად სახელმწიფოს. საორთქლმავლო სამსახურის უფროსის მოადგილემ ორდენოსანმა გ. მეტონიძემ ხელი მოაწერა ორნახევარი თვის ხელფასის რაოდენობით, რაც 4.000 მანეთს შეადგენს, სამგზავრო სამსახურის ინჟინერმა ნ. მელიქოვმა — 2.400 მანეთზე, კავშირგაბმულობის სამსახურის უფროსმა ორდენოსანმა გ. ვაშაკიძემ— 4.500 მანეთზე და სხვ.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა და მუშა-მოსამსახურეთა მიტინგზე, რომელიც მიძღვნილი იყო მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხის გამოშვებისადმი, სიტყვით გამოვიდა უნივერსიტეტის რექტორი აკად. ა. ჯანელიძე.

მგზნებარე პატრიოტული სიტყვებით გამოვიდნენ პროფ. ხარაძე, დოც. სიმონგულოვი, პროფ. ბექაია, აკადემიკოსი შანიძე, სტუდენტები შელია, ახალედიანი, გოგოლაძე, პარტბიუროს მდივანი ამხ. ჭახრაკია, პროფ. ქომეთიანი. პროფ. ვ. კუპრაძე, რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინი სესხზე ხელს აწერენ ორი თვის ხელფასის რაოდენობით.

საღამოს 7 საათისა და 30 წუთისათვის უნივერსიტეტში მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხზე ხელმოწერის თანხა შეადგენდა ნახევარ მილიონ მანეთს. ხელმოწერა გრძელდება.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში გუშინ, ღამის 10 საათისათვის ხელის მოწერის თანხამ 105.000 მანეთს მიაღწია. თეატრის მუშაკთა უმრავლესობამ სესხზე ხელი მოაწერა ორი თვის ხელფასის რაოდენობით. სტალინური პრემიის ლაურეატმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ვერიკო ანჯაფარიძემ ხელი მოაწერა ორნახევარი თვის ხელფასი სახელმწიფოს სესხად მისცეს აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ე. ჩერქეზიშვილმა, დამსახურებულმა მსახიობმა ვ. გოძიაშვილმა, რეჟისორმა ვ. ტაბლიაშვილმა, ე. სიბილიამ და მთელმა რიგმა სხვა ამხანაგებმა.

რესპუბლიკის სახალხო არტისტმა შ. ღამბაშიძემ სესხზე ხელი მოაწერა 5.000 მანეთის რაოდენობით, თეატრის ახალგაზრდა მუშაკებმა მხატვარმა ფუბარიამ, მსახიობმა გ. ქორიძემ, ს. ძიძაძემ ხელი მოაწერეს სამამი თვის ხელფასის რაოდენობით. ხელის მოწერა გრძელდება.

* * *

ჟუთაისი („კომუნისტის“ საკ. კორ.). საღამოს 5 საათზე, როგორც კი გადმოცემულ იქნა რადიოთი მთავრობის დადგენილება ახალი სესხის გამოშვებაზე, წარმოება-დაწესებულებებში და უბნის მოსახლეობაში ჩატარდა ხალხმრავალი მიტინგები.

ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში სტახანოველმა ლუბა კიკვიძემ სესხზე ხელი მოაწერა 1.400 მან. რაოდენობით, შელესტენკომ — 1.600 მან. მარდალეიშვილმა — 1.200 მან. სტახანოველმა მუშამ ამხ. ჯუხაღეიშვილმა— 6 თვის ხელფასის რაოდენობით. მთლიანად ამ საწარმოში რეალიზებულია სესხის 101.800 მანეთის ობლიგაციები. ლიტოპონის ქარხანაში სტახანოველმა გოგიძემ ხელი მოაწერა 2.200 მან. ობლიგაციებზე, სტახანოველმა ბზიაძემ—1.600 მან. სულ ამ საწარმოში ხელმოწერის თანხა 210.000 მან. უდრის. საკონსერვო ქარხანაში ხელმოწერამ 123.000 მან. გადააჭარბა. წარმატებით ვრცელდება სესხი მოსახლეობაში. ქალაქის მოსახლეობაში 4 ივნისის საღამოს 9 საათისათვის ხელმოწერის თანხა 423.000 მანეთს შეადგენდა, აქედან ნაღდ ფულად შეტანილი იყო 110.000 მან.

სარეწაო არტელების სისტემაში ამავე დროისათვის გავრცელდა 346.000 მან. ობლიგაციები, ნაღდად შეტანილია 142.000 მან. რაოდენობით.

მესხიშვილის სახ. თეატრის დირექტორმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ სესხზე ხელი მოაწერა 10.000 მან. რაოდენობით. ექიმებმა ამირაგოვმა, კოკოჩაშვილმა, ჩიქოვანმა, ცაგარეიშვილმა — თითოეულმა 5.000 მან. ჭოლიანად ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებმა მხატვარმა ფუბარიამ, მსახიობმა გ. ქორიძემ, ს. ძიძაძემ ხელი მოაწერეს სამამი თვის ხელფასის რაოდენობით. ხელის მოწერა გრძელდება.

ბორი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ბორის რაიონის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ მთავრობის დადგენილებას მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხის გამოშვების შესახებ.

სოფ. ოხერას ბერიას სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველმა ბრიგადირმა ტუხა ნინიაშვილმა ხელი მოაწერა 10.000 მანეთზე და ეს თანხა ხელის მოწერისთანავე დაჰფარა, კოლმეურნეებმა ჩიტა დადელაშვილმა და გიორგი ტლაშაძემ 8.000 მანეთზე თითოეულმა, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ფირანა ანასტასოვმა ხელი მოაწერა 30.000 მანეთზე და ეს თანხა ხელისმოწერისთანავე ნაღდად შეიტანა. სულ 179 კოლმეურნეებ ხელი მოაწერა 200.000 მანეთზე და აღნიშნული თანხა ხელისმოწერისთანავე დაჰფარა.

სვენეთის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის“ გამგეობის თავმჯდომარემ სტეფანე ბაღდოშვილმა ხელი მოაწერა 52.000 მანეთზე, რომელიც იქვე ნაღდად შეიტანა. სტახანოველმა დიმიტრი საათაშვილმა ხელი მოაწერა 5.000 მანეთზე, რაც იქვე დაჰფარა.

სოფ. ახრისის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ცხადო უზიტაშვილმა ხელი მოაწერა 25.000 მანეთზე, რაც იქვე დაჰფარა. კოლმეურნე სერგო ჩიხლაძემ ხელი მოაწერა 12.000 მანეთზე, გიორგი თოფაზაშვილმა, სიკო ჩიხლაძემ, ვასო ქუთიაშვილმა, ბიძინა ხანძარელაშვილმა—5.000 მანეთზე თითოეულმა. მათ ეს თანხები იქვე ნაღდ ფულად შეიტანეს. ბერშუეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ორდენოსანმა ვანო ბიძინაშვილმა ხელი მოაწერა 50.000 მანეთზე, ხელთუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ორდენოსანმა ვანო ჯანეზაშვილმა—30.000 მანეთზე, ქვემო ნიქოზის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვასო სამაგლიშვილმა—25.000 მანეთზე, ზემო ნიქოზის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ანტონ მუეედლიძემ—25.000 მანეთზე, დიცის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვანო კენჭაძემ—25.000 მანეთზე, ზემო ახალსოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ეორა საკაშვილმა—20.000 მანეთზე. აღნიშნულმა პირებმა ეს თანხები ნაღდ ფულად შეიტანეს. სესხზე ხელმოწერა წარმატებით მიმდინარეობს.

გურჯაანის რაიონში 4 ივნისის ღამის 12 საათისათვის კოლმეურნეობის წევრებს სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდათ 4.500.000 მანეთის რაოდენობით, აქედან მათ ნაღდად შეიტანეს 3.450.000 მანეთი; კოლმეურნეობებმა ხელი მოაწერეს 1.310.000 მანეთზე, ამ თანხიდან სახბანკში ჩარიცხეს 500.000 მანეთი. რაიონის მუშა-მოსამსახურეებმა ხელი მოაწერეს 1.100.000 მანეთის სესხზე, აქედან ნაღდად შეტანილია 14.000 მან.

სოფ. ბოგდანოვკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბუხალტერმა ზაქარია გულიაშვილმა სესხზე ხელი მოაწერა 100.000 მანეთის რაოდენობით და ეს თანხა ნაღდად შეიტანა; სოფ. შაშიანის კოლმეურნეობის წევრმა ივანე ბოკუჩავამ ხელი მოაწერა 50.000 მან. და აქედან დაჰფარა 30.000 მანეთი; სოფ. ბაკურციხის სტალინის სახელ

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

4 ივნისის დილის ცნობა

3 ივნისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

* * *

ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში, 3 ივნისის განმავლობაში ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 19 თვითმფრინავი. ამის დამატებად მტრის 4 თვითმფრინავი ჩამოგდებულია ჩვენი ქვეითი ნაწილების საზენიტო არტილერიისა და ფოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით.

* * *

დასავლეთის ფრონტზე 5 ნაწილის არტილერისტებმა დაანგრიეს მტრის 7 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი, ჩაახშეს სანაღმმტყორცნო და 2 საარტილერიო ბატარიის ცეცხლი. მზვერავთა ჯგუფმა უფროს სერჟანტ ამბ. აკენჩეკის მეთაურობით მტრის ზურგში შეაღწია. ორი დღის განმავლობაში ჩვენმა მებრძოლებმა დაზვერეს მტრის თავდაცვა, ტყვედ წამოიყვანეს გერმანელთა ორი მეტყვეიამფრქვევე და მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

* * *

ბალაკლეის სამხრეთით ერთ უბანზე გერმანელთა ქვეითი ჯარი ცდილობდა იერიში მოეტანა ჩვენს საბრძოლო დაცვაზე. 5 ნაწილის მებრძოლებმა კონტრდარტყმით უკუაგდეს მტერი და ამასთან 70-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გასწყვიტეს.

* * *

სევასტოპოლის რაიონში 5 ნაწილის ქვეგანაყოფმა ბრძოლით დაზვერვა მოახდინა. ჩვენი მებრძოლები სწრაფად შეიჭრნენ მტრის განლაგებაში, 40-მდე ჰიტლერელი დახოცეს და დაიკავეს მტრის რამდენიმე სანგარი. წამოიყვანილია ტყვეები და წამოღებულია დაკვლა. სხვა უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოიგერიეს მტრის იერიში. ბრძოლის შედეგად დაზიანებულია გერმანელთა ტანკი და მოსპობილია ერთ ასეულამდე ჰიტლერელი.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა მზვერავმა რაზმებმა მოსპეს მტრის 100-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაანგრიეს 7 ძელმიწური საცეცხლე წერტი, 12 ბლინდაჟი, 2 სათვალთვალო პუნქტი და აიღეთქეს მოწინააღმდეგის 2 საწყობი საომარ მასალიანად.

* * *

გერმანელთა ერთი ასეული ჯარისკაცი თავს დაესხა ლატვიელ პარტიზანთა რაზმს. საბჭოთა პატრიოტებმა ახლოს მოუშვეს მტერი, შეწყობილი ცეცხლი გაუხადეს და 60 ჰიტლერელი დახოცეს. პარტიზანებმა ხელთ იგდეს 4 საზიდარი, დაზგის ტყვიამფრქვევი, ასეულის ნაღმსატყორცნი და სხვა დაკლა. სხვა რაზმის ლატვიელმა პარტიზანებმა გზატკეცილზე სროლა აუტეხეს მტრის მსუბუქ ავტომანქანას და დახოცეს შიგ მყოფი 3 გერმანელი ოფიცერი. ლატგალიაში პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადაგდეს მტრის სამხედრო ეშელონი 14 ვაგონის შემადგენლობით.

* * *

ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ გერმანელი ფაშისტი მკვლელები ჰაერიდან დაბომბვით ანგრევდნენ ჰიტლერული ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლი თავისუფლებისმოყვარე ქვეყნების ქალაქებსა და სოფლებს. ახლა ინგლისსა და ამერიკის ავიაცია გამანადგურებლად ურტყამს გერმანიის სამხედრო მრეწველობის ცენტრებს. ყველა რანგის ფაშისტი მახინჯები წამსვე აყვირდნენ. გერმანიიდან საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მოდის ატარებელი წერილი. ჯარისკაც პაულ რედმანს დედამისი სწერს: „ესსენი ნანგრევებად არის ქცეული. ეს ღამეები მე არასოდეს არ დამავიწყდება, უკვე დაფწერე ანდერძი“. ჯარისკაც იოსებ კლაიმერს და ატუობინებს: „ამას წინათ ინგლისელები და ამერიკელები კვლავ იყვნენ მიუნხენში. საშინელებაა, რაც მათ აქ ჩაიდინეს. შენი ბედია, რომ მიუნხენში არ ხარ“. უცნობ გერმანელ ჯარისკაცს, რომელიც პარტიზანებთან ბრძოლაშია მოკლული, უპოვნეს წერილი ბერლინიდან. წერილში ნათქვამია: „ორშაბათს საჰაერო განგაში იყო. გასაოცარია,—რა შორს მოფრინავენ ისინი და რა აუტანელი მდგომარეობაა ბერლინში დაბომბვის დროს. ყოველ შემთხვევაში ეს თავდასხმა ყველა წინანდელზე უფრო საშინელი იყო. ძალიან ძლიერი ქარი საშუალებას არ იძლეოდა ხანძარი ჩაქრობოდა. მეხანძრეები ვერაფერს გახდნენ“.

4 ივნისის საღამოს ცნობა

4 ივნისის განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა ნაწილებმა მოსპეს 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ერთ უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა ცეცხლი წაუკიდეს ხეოგს. გერმანელთა თავდაცვის წინა კიდეზე. როდესაც გერმანელი ჯარისკაცები სანგრებიდან გამოძვრნენ ხანძრის ჩასაქრობად, ჩვენმა სნაიპერებმა სროლა ატეხეს და 20-ზე მეტი გერმანელი მოსპეს.

ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლაში ჩამოაგდეს გერმანელთა 2 თვითმფრინავი. მტრის ერთი თვითმფრინავი მოსპობილია საზენიტო არტილერიის ცეცხლით.

* * *

ბალაკლეის სამხრეთით არტილერიის ცეცხლით მოსპობილია მტრის 2 სანაღმმტყორცნო ბატარია, აფეთქებულია საომარი მასალის საწყობი, დაბტრეულია 3 ავტომანქანა და რამდენიმე საზიდარი საომარ მასალიანად. 5 ნაწილის სნაიპერებმა 44 ჰიტლერელი გაუტლიტეს.

* * *

ლისიჩანსკის რაიონში მტრის რაზმი ცდილობდა ნავებით გადმოსულიყო მდინარე სევერნი დონეცზე. ჩვენმა მებრძოლებმა თოფ-ტყვიამფრქვევის სროლა ატეხეს და ჰიტლერელთა დიდი ნაწილი მოსპეს. ჩვენი არტილერიის ცეცხლით დაზიანებული და დაწყვარია გერმანელთა 2 ტანკი, გაფანტული და ნაწილობრივ გაწყვეტილია მტრის ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა დაანგრიეს მტრის 7 ძელმიწური საცეცხლე წერტი და 5 მიწური, დასწვეს გერმანელთა ტანკი, მოსპეს ქვემეხი და 100-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სნაიპერმა უმცროსმა სერჟანტმა ივანე გაევმა ჯავშანგამტან-ცეცხლგამჩენი ტყვიებით ცეცხლი წაუკიდა აეროსტატს, რომელიც მტრის არტილერიის ცეცხლს აკორექტებდა. აეროსტატის გონდოლაში მყოფი გერმანელი მეთვალთვალე მოკლულია.

* * *

ბარანოვიჩის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა ჩაალოვის სახელობის პარტიზანულმა რაზმმა ოკუპანტების დროს ლიანდაგიდან გადაგდო გერმანელთა 5 სამხედრო ეშელონი. მარცხის შედეგად მოსპობილია მთელი რიგი პლატფორმები ტანკებიანად და დამწვარია 11 სარკინიგზო ცისტერნი საწვავიანად. გზატკეცილებზე საფრებიდან გაწყვეტილია 60 ჰიტლერელი. ჩაპაევის სახელობის რაზმის პარტიზანებმა გაანადგურეს მტრის კოლონა. მოკლულია 28 გერმანელი ჯარისკაცი და 5 ოფიცერი. პარტიზანებმა მტერს

წაართვეს 28 შაშხანა, ტყვიამფრქვევი, 2 ავტომატი, რამდენიმე ათასი ვაზნა, გრანატები და სხვა დაკლა.

* * *

წინათელი არმიის მხარეზე გადმოსულმა გერმანელთა 383-ე ქვეითი დივიზიის 531-ე პოლკის ჯარისკაცმა, ეროვნებით სლოვენმა, სტალინისადმი ლ-ძ განაცხადა: „გერმანელი ოკუპანტები სლოვენებს უმაგალითოდ სდევნიან და აბუჩად იგდებენ. ჩვენ აგვიკრძალეს დედაენაზე ლაპარაკი. ოკუპანტებმა დახურეს ჩვენი სკოლები და ეკლესიები. ქალ. სარაევოს მახლობლად გზის შენებლობაზე მუშაობს ბევრი დაპატიჟებული სლოვენი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, მასწავლებელი და მღვდელი. იქვე არის 60 წლის მღვდელი შეგოლაც სოფელ მაქსაუდან. პარტიზანებთან ბრძოლის საბაბით ჰიტლერელები ხოცავენ მშვიდობიან მცხოვრებთ, მშობლიური ადგილებიდან ერეკებიან მთელ სოფლებს, შიშის მუშებს ართმევენ მათს ნეურნეობას. ამას წინათ პეტაუს რაიონში ოკუპანტებმა რამდენიმე ასეული კაცი დახვრიტეს. სლოვენიაში გერმანელ მხეცელთა მთელი ბრბოება ჩამოვიდნენ. ისინი გერმანელ ჯარისკაცებთან ერთად ძარცვავენ გლეხებს და ანადგურებენ ჩვენს ქვეყანას. სლოვენებს არა სურთ გერმანელთა არმიაში სამსახური, მაგრამ ისინი ძალდატანებით გაჰყავთ მობილიზაციით. ჰიტლერელებმა იციან, რომ ისინი გვძულს, მაგრამ ეტყობა გერმანელების საქმე ცუდად არის, თუ კი ისინი იძულებული არიან არმიაში თავისი აშკარა მტრები გაიწვიონ. საბარშო ბატალიონის შემადგენლობაში სულ მცირე 100 სლოვენი იყო. ჯერ კიდევ ფრონტისაკენ მომავალნი გზაში შეეთანხმდით რუსთა მხარეზე გადმოვსულიყავით, როგორც კი ეს შესაძლებელი იქნებოდა“.

* * *

ქალ. დემიანსკის ოკუპაციის დროს ჭაობიან ნაკვეთზე, რომელსაც შემოვლებული ჰქონდა რამდენიმე წყება ეკლიანი მავთული, გერმანელებმა მოაწყეს ბანაკი ტყვე წითელარმიელებისა და შშვიდობიანნი საბჭოთა მოქალაქეებისათვის. ამ ბანაკში გერმანელმა ბანდიტებმა შიმშილით დახოცეს, აწამეს და დახვრიტეს ასობით საბჭოთა ადამიანი. მეღუმელე ალექსანდრე კარპოვი, რომელიც ჰიტლერელებმა აიძულეს ღუმელი აეშენებინა საკონცენტრაციო ბანაკში, უნებური მოწმე იყო ფაშისტთა ზეციობისა. კარპოვი გვიამბობს: „გერმანელებს თავიანთი მსხვერპლნი ცემით სიკვდილის კარამდე მიჰყავდათ, აწამებდნენ მათ. ნოკლუტთა გვამებს ჰიტლერელები სანგრებში ჭფლავდნენ ბანაკის მახლობლად“ ამ დღეებში სამედიცინო კომისიის თანდასწრებით გათხრილ იქნა ერთი საფლავი, იქიდან შრავალი გვამი ამოიღეს. სულ ბანაკის რაიონში აღმოჩენილია 27 მასობრივი საფლავი.

საქართველოს და სომხეთის კოლმეურნეთა შეჯიბრება

ფრონტისადმი ყოველმხრივი დახმარებისათვის

მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ლ. პ. ბერიას სახელობის კოლ-მეურნეობის წევრთა წერილი სომხეთის სსრ ჯოძემბერიანის რაიონის სოფ. ფოქრ-შაღრიარის კოლმეურნეებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო! რამდენიმე წელია, რაც ჩვენს შორის გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება უხვი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის. ამ სოციალისტურმა შეჯიბრებამ კიდევ უფრო განამტკიცა ხალხთა სტალინური მეგობრობა. წელს ჩვენ ახალი ძალით ვაჩაღებთ ამ შეჯიბრებას, რომ უფრო მეტი დახმარება გავუწიოთ ჩვენს სახელოვან წითელ არმიას, რომელიც გმირულად ებრძვის ჩვენს მოსისხლე მტერს—გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს.

უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ **სტალინის** საპირველმაისო ბრძანებით აღფრთოვანებულნი, ჩვენ დაუცხრომლად ვმუშაობთ, რომ წელს მივიღოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი სამხედრო მოსავალი, კიდევ უფრო გავადიდოთ საქონლის სულადობა და მისი პროდუქტიულობა. „აუცილებელია,—ამბობს დიდი სტალინი თავის საპირველმაისო ბრძანებაში,—რომ მუშები, კოლმეურნეები, მთელი საბჭოთა ინტელიგენცია გაორკეცებული ენერგიით მუშაობდნენ ფრონტისათვის“. სამამულო ომის დღეებში, როცა საბჭოთა ხალხი სასტიკ ბრძოლას ეწევა საძულველი მტრის—კაცეჭამია ჰიტლერელთა ურდოების წინააღმდეგ, ჩვენ სამხედრო ტემპებით ვმუშაობთ, არ ვზოგავთ ძალასა და ენერგიას ჰიტლერელ მტაცებლებზე სრული გამარჯვებისათვის.

ჩვენ უსაზღვროდ აღგვაფრთოვანა, ახალი ძალა შეგვმატა და ფრონტისადმი დახმარების გაძლიერებისაკენ მოგვიწოდა ქართველ მებრძოლთა შესანიშნავმა წერილმა საქართველოს ფაშოიელებისადმი, რომელიც ამ დღეებში მივიღეთ. ამ პატრიოტული წერილის პასუხად ჩვენ კიდევ უფრო გავაძლიერეთ სამხედრო ტემპებით მუშაობა საკოლმეურნეო მინდვრებზე.

ჩვენ უკვე შევაჯამეთ საგაზაფხულო მუშაობის პირველი შედეგები. ნაყოფი თვალსაჩინოა. სიმინდის, ოიოის, ლობიოს, ბრინჯის თესვის გეგმები შევასრულეთ გადაჭარბებით და აგროტექნიკურ დონისძიებათა ურყევად დაცვით, ვალდებულება ვიკისრეთ ჰექტარზე მივიღოთ საშუალოდ 20 ცენტნერი სიმინდი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 17 ცენტნერისა, 6 ცენტნერი ლობიო, ნაცვლად 5 ცენტნერისა, აგრეთვე მივიღოთ ჰექტარზე საშუალოდ 8 ცენტნერი სოია და 30 ცენტნერი ბრინჯი. საუკეთესოდ ვუვლით ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციებს. სამხედრო ტემპებით გავაჩაღეთ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა. ყოველდღიურად ვკრეფთ 14-15 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლს. წელს სახელმწიფოს მივცემთ 900 ათას კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს. ვიდაზე 15 დღით ადრე დავამთავრეთ ციტრუსოვანთა ნარგავების. შებარვა, ასევე წარმატებით შეესრულეთ გათოხნის. შეწამლვის და სხვა სამუშაოები. ვალდებულება ვიკისრეთ წელს სახელმწიფოს მივცეთ 10 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, ნაცვლად შარშანდელი 7 მილიონისა. 200 ტონა ტუნგოს ნაყოფი, ნაცვლად 150 ტონისა. წელს სახელმწიფოს ჩავაბარებთ სულ მცირე 9.000 კილოგრამ მაღალხარისხოვან აბრეშუმის პარკს.

საქონლის სულადობა შარშანდელთან შედარებით ერთთაორად გავადიდეთ, დამატებით ვაწყობთ მეცხენეობისა და მეფრინველეობის ფერმებს. ჩვენს სახელოვან კავალერიას მივცემთ ჯანსაღ და ამტან ცხენებს. თვალსაჩინოდ გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, კოლმეურნეობისა და კოლმეურნეთა შემოსავალი. შარშან თითოეულ შრომადღეზე განაწილდა 3 კილოგრამი მარცვლეული და 8 მანეთი, წელს გავანაწილებთ 4 კილოგრამ მარცვლეულს და 10 მანეთს.

ჩვენ დღითა-დღე ვაძლიერებთ ფრონტისადმი დახმარებას. სტანკო კოლონისა და სპრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების მშენებლობის ფონდში შევიტანეთ 846 ათასი მანეთი. ამის გამო საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინისაგან ორი დეპეშა მივიღეთ კოლმეურნეობის თავმჯდომარის ლენინის ორდენისან ე. ჯაბუას სახელზე და სტახანოველი კოლმეურნის ლიუდი ხურციძის სახელზე. ამხანაგი სტალინი გვითვლის ძმურ სალამსა და წითელი არმიის მადლობას. მშობლიური სტალინისაგან გამოგზავნილმა დეპეშებმა ჩვენ აღგვაფრთოვანეს ახალ-ახალი წარმატებებისათვის.

ჩვენს გმირ წითელ არმიას გავუგზავნეთ 60 ათასი მანეთის თბილი ტანსაცმელი, 15 ტონა მარცვლეული, 1.800 კილოგრამი ხორცი და სხვ. იაროსლავლელ კოლმეურნეთა შესანიშნავი ინიციატივის პასუხად თავდაცვისა და ძმური დახმარების ფონდში დავთესეთ 11,5 ჰექტარი მარცვლეული, გამოვაყვეთ 4 სული ჯიშიანი ძროხა, 3 ღორი, 1 ცხენი, რომლებსაც მივუჩინეთ სპეციალური მომვლელები. ყველა სახელმწიფო ვალდებულებას ვასრულებთ 1 ივლისისათვის. მრავლდება სტახანოველთა რიგები. ჩვენი კოლმეურნეობის წარჩინებული ადამიანებია ლიუდი ხურციძე, დარეჯან ტაკიძე, სამი წითელარმიელის დედა მარო ბოლქვაძე, წითელფრონტელის ცოლი ნინო მამინოშვილი, 72 წლის კატო ნაკაიძე, სამამულო ომის მონაწილენი არონ მიმინოშვილი, ვალოდია ხურციძე, ანტონ მუჯირი, ბრიგადირი ი. ხურციძე, შ. კვაჭანტირაძე, მოსწავლე გიორგი გუჯაბიძე და მრავალი სხვა.

ძვირფასო მეგობრებო! ხალხთა სტალინური მეგობრობა მტკიცე და ურღვევია. ამ მეგობრობამ კიდევ უფრო მძლავრი გამოხატულება ჰპოვა დიდი სამამულო ომის დღეებში. კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ საქართველოსა და სომხეთის სს რესპუბლიკების კოლმეურნეთა შორის სოციალისტური შეჯიბრება ფრონტისადმი ყოველმხრივი დახმარების გაძლიერებისათვის. მთელი ჩვენი ძალები და ენერგია ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანების შესასრულებლად! მთელი ძალღონით დავეხმაროთ გმირ წითელ არმიას მის გმირულ ბრძოლაში საზიზღარ ჰიტლერელ დამშენებლთა წინააღმდეგ.

მოგვწერეთ, ამხანაგებო, თქვენი მუშაობის გამოცდილებაზე, რომ ამ გამოცდილების გაზიარებით ჩვენ კიდევ უფრო გავაძლიეროთ ფრონტისადმი დახმარება.

გაუმარჯოს ჩვენს გმირ წითელ არმიას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ დიდ **სტალინს!**

მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების წევრთა საერთო კრების დავალებით: პარტბიუროს მდივანი **ივ. თავაძე**, **ფინა ღელეფაა**, კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ვ. ჯაბუა**, კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი **აბრამ კოსტავა**, **ი. ხურციძე**, სტახანოველები: **ლიუდი ხურციძე**, **დარეჯან ტაკიძე**, **გიორგი თავაძე**.

ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ვ. ჯაბუა**, კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი **აბრამ ფინა ღელეფაა**, კოლმეურნეობის ფუროსი აგრონომი **ბ. ნაკაიძე**, ბრიგადირები: **მ. კოსტავა**, **ი. ხურციძე**, სტახანოველები: **ლიუდი ხურციძე**, **დარეჯან ტაკიძე**, **გიორგი თავაძე**.

ურღვევია ხალხთა სტალინური მეგობრობა

მახარაძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). სოფ. ნატანების ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობა რამდენიმე წელია რაც სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული ჭოქტემბერიანის რაიონის სოფ. ფოქრ-შაღრიარის კოლმეურნეობის კოლმეურნეებთან. დიდი სამამულო ომის დღეებში ეს შეჯიბრება ახალი ძალით გაჩაღდა. ნატანებელ და ფოქრ-შაღრიარელ კოლმეურნეთა შორის გრძელდება მიწურ-მოწურა და გამოცდილების ურთიერთ-გაზიარება. ყოველივე ეს ნათლად მოწმობს ხალხთა სტალინური მეგობრობის ურღვევ ძალას.

სოფ. ნატანების ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობა უდიდეს დახმარებას უწევს ფრონტს. ამ წარმატებით იბრძვიან სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის. კოლმეურნეობაში ფარბოდ არის გაჩაღებული ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა. კოლმეურნეობაში არ მოიპოვება ისეთი ბრიგადა ან რგოლი, რომელიც საგეგმო დავალებას გადაჭარბებით არ ასრულებდეს.

კოლმეურნეობის წევრებმა განიხილეს ქართველ მებრძოლთა წერილი საქართველოს ფშაოელებისადმი, და ამ შესანიშნავ წერილს შეხვდნენ უდიდესი აღფრთოვანებით. ამასთან დაკავშირებით მთელი რიგი ახალი კონკრეტული ვალდებულებანი აიღეს.

კოლმეურნეობაში შეაჯამეს საგაზაფხულო მუშაობის პირველი შედეგები. კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ მიიღო წერილი სოფ. ფოქრ-შაღრიარის კოლმეურნეობის წევრებისადმი, რომლებთანაც ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ლ. ლოლაძე

ლეკვები

ნიუ-იორკში გაიხსნა „ამერიკა-საბჭოთა კავშირის სამხედრო გამოფენა“

ნიუ-იორკი, 3 ივნისი (საკდისი). ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ნაციონალური საბჭოს ინიციატივით, მეცნიერების და მრეწველობის ნიუ-იორკის მუზეუმში გაიხსნა „ამერიკა-საბჭოთა კავშირის სამხედრო გამოფენა“, მის მოწყობას ხელი შეუწყეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრომ, საჰაერო ფლოტის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონის განხორციელების სამმართველომ, სამხედრო ინფორმაციის ბიურომ და ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საბჭომ.

გამოფენაზე წარმოდგენილია მრავალი ფოტოგრაფია, რომლებიც ნათელყოფენ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიღწევებს და საბჭოთა კავშირ-ამერიკის კულტურულ თანამშრომლობას.

გამოფენა გასტანს 6 კვირას. მის გახსნას დაესწრო ამერიკის შეერთებული შტატების 300-ზე მეტი თვალსაჩინო მოღვაწე. ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა უოლესმა გამოგზავნა მისალმება, რომელშიც ნათქვამია: „ყოველგვარი გამოსტოლება ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა, რომელიც ემყარება ორთაერთი პატივისცემის ერთმანეთი, რაც მეტად მნიშვნელოვანია, ჩვენი ორმა ერმა უკურნებელი ღირსია. ეს გამოფენა საბჭოთა ადამიანებსა ორი მოკავშირის ეროვნებიდან მონაწილეობას დემოკრატიის გამარჯვების უზრუნველყოფაში. დაე, ჩვენმა ორმა მოკავშირე ქვეყანამ დანარჩენ გაერთიანებულ ერუბთან ერთად ასევე ეფექტურად შეეჭიდნოს ხრული და სამართლიანი მშვიდობიანობა“.

სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე—სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჰენდერსონმა, ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთი რაიონის, საჰაერო თავდაცვის უფროსმა გენერალ-მაიორმა იარმანმა, სუფრავლის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონის განხორციელების რწმუნებულმა მოადგილემ იუნგმა და სამხედრო ინფორმაციის ბიუროს ამერიკის განყოფილების ხელმძღვანელმა კოულესმა.

ადენაში შეიქმნა საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტი

ლონდონი, 3 ივნისი (საკდისი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გენერალმა დე გოლმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ დღეს დილით შეიქმნა ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტი. იგი შესდგება გენერლების — ჟიროსა და დე გოლისაგან, რომლებიც მისი თავმჯდომარეები არიან, და გენერალ ჟორჟისა, გენერალ კატროსა, მასილიისა, ანდრე ფილიპისა და ჟან მონეს-საგან. კომიტეტი თავის ხელში აიღებს საფრანგეთის ადმინისტრატიულ მმართველობას მის ტერიტორიაზე გადასვლის შემდეგ. ჟიროსა და დე გოლის მოლაპარაკებაში ჯერ კიდევ გადაუჭრელი დარჩა საკითხი, თუ როგორი იქნება გენერალ ჟიროს, როგორც საფრანგეთის მთავარსარდლის, მდგომარეობა.

გენერალ დე გოლის განცხადებით, ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტი შემდეგში გაფართოებული იქნება, მაგრამ იგი უკვე წარმოადგენს საფრანგეთის ცენტრალურ ხელისუფლებას, რომელიც ვრცელდება საფრანგეთის ყველა ტერიტორიაზე, რაც მტრისაგან განთავისუფლებულია, და ფრანგთა ყველა შეიარაღებულ ძალებზე. კომიტეტი კისრულობს უზრუნველყოს ფრანგთა ინტერესები მთელს მსოფლიოში და ხელმძღვანელობა გაუწიოს ფრანგთა ყოველნაირად მონაწილეობას ომში.

გენერალი კაგრუ აღქირის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა

ლონდონი, 3 ივნისი (საკდისი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, გენერალი კატრუ ალჟირის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა.

მოკავშირეთა ავიაციისა და საზღვაო ფლოტის მოქმედება ხმელთაშუა ზღვაში თავდასხმა ნეაპოლზე

ლონდონი, 4 ივნისი (საკდისი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების შტაბი იუწყება, რომ 2 ივნისს ღამით და 3 ივნისს განთიადზე ინგლისის ხომალდებმა კვლავ დაუშინეს კუნძულ პანტელერიას. ყუმბარები მოხვდა ნავსადგურისა და სანაპირო ბატარიების რაიონს.

1 ივნისს ღამით „ველინგტონის“ ბომბდამშენები თავს დაესხნენ ნეაპოლს. ბომბები გასცდა ნავსადგურის ნაგებობათა და სამრეწველო ობიექტების რაიონში.

ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, რომ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში ინგლისის ავიაციამ თითქმის 30.000 ტონა ფეთქებადი ნივთიერება დააყარა გერმანიის მრეწველობის სამხედრო ცენტრებს.

იაპონია-ჩინეთის ომი

ჩინეთის სარდლობის ცნობებით, ხუბეის პროვინციის დასავლეთ ნაწილში გრძელდება იაპონელთა დევნა. ჩინელთა ჯარებმა დაამთავრეს ჩანიანის გარშემორტყმის ოპერაციები და იერიში მიაქვთ ქალაქზე. იჩანის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩინელთა ჯარებმა დაიკავეს ბევრი დასახლებული პუნქტი.

შანდუნის პროვინციის სამხრეთ ნაწილში, სადაც იაპონელებმა ორი კვირის განმავლობაში 5.000-ზე მეტი კაცი დაჰკარგეს მოკლულთა და დაჭრილთა სახით, გრძელდება ოპერაციები ამ რაიონის გასაწმენდად.

ხუნანის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში ჩინელთა ჯარებმა ლისიანის ჩრდილოეთით 3 ქალაქი დაიკავეს. იაპონელთა ნაწილები, რომლებიც უკან იხევდნენ, გარშემორტყმულნი და თითქმის მთლიანად მოსპობილნი არიან. ჩინელებმა ხელთ იგდეს დიდძალი სამხედრო საკუთრება.

3 ივნისი. (საკდისი).

უცხოეთის ქრონიკა

წლის ბოლომდე ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯარში გაწვეული იქნება 2.700,000 კაცი იმ მიზნით, რომ ამერიკის შეიარაღებულ ძალთა რიცხობრივმა შემადგენლობამ 11 მილიონ კაცს მიაღწიოს.

* * *

გერმანიის ბომბდამშენებმა სავსებით დაანგრიეს ჩერნოგორიის 4 დაუცველი ქალაქი. მათ შორის სუბოტიცა.

1 ივნისს ჩუნკინში გაიხსნა მოსკოვისა და ლენინგრადის გმირული დაცვისადმი მიძღვნილი გამოფენა.

* * *

ვიშის „მთავრობამ“ გამოსცა განკარგულება 1920, 1921 და 1922 წლებში დაბადებული მთელი ფრანგი ახალგაზრდობის მობილიზაციის შესახებ გერმანიაში სამუშაოზე გასაგზავნად.

2 ივნისი (საკდისი).

ლექციები ⅆ მოხსენებები

7 ივნისს, საღამოს 7½ საათზე, საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში (ცეცხოველის ქ., № 5) შესდგება დოცენტ **ნ. კანდელაკის** ლექცია თემაზე: **„ერეკლე მეორე, როგორც დიდი მხედართმთავარი“.**

მთელი შემოსავალი გადაირიცხება ფრონტელთა ოჯახების დახმარების ფონდში.

ბილეთების შეძენა შეიძლება ბიბლიოთეკის რეგისტრატურაში.

კინოებში

რუსთაველის სახ.—„ლედი ჰამილტონი“, **ოქტომბერი** — „ანტოშა რიბკინი“. **დამკვრელი**—„ასი კაცი და ერთი ქალიშვილი“. **კომკავშირელი**—„ზეკა“. **სპარტაკ**—„მელორე“, „ცა“ და „ჯოჯოხეთი“. **ლუქსემბურგის სახ.**—„კოტოვსკი“.

თეატრებში

5 ივნისს—სახობიერა—„ღალატი“, 6 ივნისს—დღისით — „სევილიელი დალაქი“, საღამოს—„ტოსკა“. **რუსთაველის სახელობის** 5 ივნისს—„ოლეკო დუნდიჩი“, 6 ივნისს—დღისით და საღამოს — „სხვისთვის სულელი, თავისთვის ქკვიანი“. **მარჯანიშვილის სახელობის**—5 ივნისს — „პარტიზანები“, 6 ივნისს—დღისით—„კოლმეურნის ქორწინება“, საღამოს—„ურიელ აკოსტა“. **სანკულტურის** — 5 და 6 ივნისს—„უნიადაგონი“. **მუსიკალური კომედიის**—5 ივნისს—„ოქროს გასაღები“. 6 ივნისს—დღისით—„საქორწინო მოგზაურობა“, საღამოს — „ბაჯარათი“. **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — 5 ივნისს—„წითელქუდა“. 6 ივნისს—დღისით — „წითელქუდა“, საღამოს — „რომეო და ჯულიეტა“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

4 ივნისის დილის ცნობა

3 ივნისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

* * *

ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში, 3 ივნისის განმავლობაში ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 19 თვითმფრინავი. ამის დამატებად მტრის 4 თვითმფრინავი ჩამოგდებულია ჩვენი ქვეითი ნაწილების საზენიტო არტილერიისა და თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით.

* * *

დასავლეთის ფრონტზე 5 ნაწილის არტილერისტებმა დაანგრიეს მტრის 7 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი, ჩაახშეს სანაღმმტყორცნო და 2 საარტილერიო ბატარიის ცეცხლი. მზვერავთა ჯგუფმა უფროს სერჟანტ ამბ. აკენჩეკის მეთაურობით მტრის ზურგში შეაღწია. ორი დღის განმავლობაში ჩვენმა მებრძოლებმა დაზვერეს მტრის თავდაცვა, ტყვედ წამოიყვანეს გერმანელთა ორი მეტყვეიამფრქვევე და მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

* * *

ბალაკლეის სამხრეთით ერთ უბანზე გერმანელთა ქვეითი ჯარი ცდილობდა იერიში მოეტანა ჩვენს საბრძოლო დაცვაზე. 5 ნაწილის მებრძოლებმა კონტრდარტყმით უკუაგდეს მტერი და ამასთან 70-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გასწყვიტეს.

* * *

სევასტოპოლის რაიონში 5 ნაწილის ქვეგანაყოფმა ბრძოლით დაზვერვა მოახდინა. ჩვენი მებრძოლები სწრაფად შეიჭრნენ მტრის განლაგებაში, 40-მდე ჰიტლერელი დახოცეს და დაიკავეს მტრის რამდენიმე სანგარი. წამოიყვანილია ტყვეები და წამოღებულია დაკვლა. სხვა უბანზე ჩვენმა